შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კვლევა (ავსებს პროფესიული განათლების მასწავლებელი)

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში 2023 სასწავლო წლის 30 ნოემბერს ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და კოლეჯის სერვისების პრობლემების იდენტიფიცირების და მათი აღმოფხვრისათვის ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შემუშავების მიზნით უნდა გამოევლინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა აზრი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათი განხორციელებისთვის კოლეჯში შექმნილი პირობების შესახებ.

კითხვარი 11 დახურულ და ერთ ღია კითხვის მოუცავს. ღია კითხვაზე პასუხის გაცემით პროფესიული განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობა ეძლეოდათ კვლევის თემატიკის კუთხით გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები, რაც კოლეჯის ადმინისტრაციისთვის საგულისხმო იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამისა და კოლეჯის სერვისების გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების თვალსაზრისით.

გამოკითხვა ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და მასში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პრაოგრამის „აღმზრდელი“ განმახორციელებელმა პროფესიულმა მასწავლებლებმა.

კვლევა კონფიდენციალური იყო და შესაძლებლობას იძლეოდა გამოკითხულები ყოფილიყვნენ გულწრფელნი და მიუკერძოებელნი.

კვლევის შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ გამოკითხვაში მონაწილე პროფესიულ მასწავლებელთა აბსოლურურმა უმრავლესობამ არ ისარგებლა შესაძლებლობით ღიად დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები და შენიშვნები კითხვარის დასკვნით ნაწილში.

კვლევის შედეგები სასწავლო პროცესში ჩართული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება პროფესიული პროგრამებისა და კოლეჯის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

კვლევის შედეგების თანახმად ცხრავე გამოკითხული მასწავლებელი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროგრამის მიზანი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები კი ლოგიკური. რაც შეეხება გამოყენებული სწავლის/სწავლების მეთოდებს, ისინი, ასევე ყველა გამოკითხულის აზრით, სწორადაა შერჩეული და ხელს უწყობს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

გამოკითხულთა ასივე პროცენტის აზრით, პროგრამაში სწორადაა გადანაწილებული კრედიტები და საკონტაქტო საათები სავალდებულო და არჩევით მოდულებზე და მათი რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.

ცხრავე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც კვლევაში ღებულობდა მონაწილეობას, დადებითად აფასებს კოლეჯში არსებულ ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რაც პროგრამის განხორციელებისთვისაა საჭირო და თვლის, რომ ადმინისტრაცია ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

პასუხი „ნაწილობრივ“- გამოკითხულთა მიერ მხოლო 3 შმთხვევაშია შემოხაზული:

1. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები) და რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზანს? - 1(11 %);

2. სასწავლო / პრაქტიკული კომპონენტების სწავლის შედეგები ხელს უწყობს მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას - 2(22 %);

3. პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სწორადაა შერჩეული დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად - 1(11 %);

აღსანიშნავია, რომ ყველა გამოკითხულის აზრით პროფესიული პროგრამის მიზანი შეესაბამება ხარისხისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

კითხვარის შედეგებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიუკურია მოსაზრებები, რომლებიც 2 გამოკითხულის მიერ დაფიქსირდა ღია კითხვის - „რის შეცვლას ისურვებდისთ პროგრამაში?“ პასუხად:

1- არაფრის.
2- სასურველია უფრო მეტი საათი იყოს დათმობილი პროგრამის პრაქტიკული ნაწილისთვის.

№	შეკითხვა	შეფასება		
		დიახ	ნაწილობრივ	არ შეესაბამება
1	განსაზღვრულია პროფესიული პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული	9 (100 %)		
2	მიზანი შეესაბამება ხარისხისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს	9 (100 %)		
3	სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კომპეტენციების ფორმატში (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები) და რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზანს?	8 (89 %)	1 (11 %)	
4	სასწავლო / პრაქტიკული კომპონენტების სწავლის შედეგები ხელს უწყობს მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას	7 (78 %)	2 (22 %)	
5	პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, და კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია	9 (100 %)		
6	გამოყენებული სწავლის/სწავლების მეთოდები სწორადაა შერჩეული და ხელს უწყობს დასახული სწავლის შედეგების მიღწევას	9 (100 %)		
7	პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სწორადაა შერჩეული დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად	8 (89 %)	1 (11 %)	
8	საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული სასწავლო მოდულებისთვის მინიჭებული კრედიტებისა და გამოყოფილი საკონტაქტო საათების რაოდენობა საკმარისია შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად	9 (100 %)		
9	საგანმანათლებლო პროგრამაში სწორადაა გადანაწილებული სავალდებულო, არჩევითი სასწავლო მოდულები	9 (100 %)		

10	ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები შეესაბამება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო გარემოს	9 (100 %)		
11	კოლეჯის ადმინისტრაცია ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის მდგომარეობასა და განვითარებას	9 (100 %)		
12	რის შეცვლას ისურვებდისთ პროგრამაში, დაამატეთ თქვენი მოსაზრება			

კითხვაზე - „რის შეცვლას ისურვებდისთ პროგრამაში?“ - მხოლოდ 2-მა გამოკითხულმა დააფიქსირა პასუხი:

- არაფრის;
- სასურველია უფრო მეტი საათი იყოს დათმობილი პროგრამის პრაქტიკული ნაწილისთვის.

ამდენად, განხორციელებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამა „აღმზრდელის“ პროფესიული განათლების მასწავლებლები მთლიანობაში დადებითად აფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და მისი განხორციელებისთვის კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილ სერვისებს.